სარეკომენდაციო მითითება 2018 წლის მმართველობის ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – კანონი) მე-7 მუხლის პირველი და მე-12 პუნქტებისა და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი დაინტერესების პირმა (სდპ), პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფებმა უნდა მოამზადონ და დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა[1], სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით უნდა წარუდგინონ 2018 წლის მმართველობის ანგარიშგება.

2018 წლის მმართველობის ანგარიშგების მიზნებისთვის, **მშობელი** საწარმო, რომელსაც კანონით მოეთხოვება მმართველობის ანგარიშგების მომზადება ან ნებაყოფლობით ამზადებს მას, უფლებამოსილია არ **მოამზადოს ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება** და სამსახურს წარუდგინოს მხოლოდ **კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება**, თუ მისი ყველა **შვილობილი საწარმო არაარსებითია**[2] როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი. ასეთ შეთხვევაში, მშობელი საწარმო ვალდებულია ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების ნაცვლად წარმოადგინოს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილი **ოფიციალური წერილი**, რომელშიც განმარტებული იქნება ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების წარუდგენლობის **მიზეზი (არაარსებითი სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის). ამასთან, წერილს თან უნდა ერთვოდეს აუდიტის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა და მტკიცება, რომლითაც დასტურდება ზემოაღნიშნული ინფორმაციის სისწორე. წერილი მშობელმა საწარმომ უნდა წარმოადგინოს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, ერთ დოკუმენტში,** „pdf” ფორმატში, რომელშიც შესაძლებელია ტექსტის ძიება, მონიშვნა და კოპირება, ხოლო ის გვერდები, რომლებზეც მოცემულია პირადი ხელმოწერები, დამატებით, ამავე დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ამავე დოკუმენტში, შესაბამის ხელმოუწერელ გვერდებამდე ან გვერდების შემდგომ, დასკანერებულ „pdf” ფორმატში. ასევე შესაძლებელია, საწარმოს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური წერილის ნაცვლად ინდივიდუალური **მმართველობის ანგარიშგების წარუდგენლობის მიზეზი ახსნილი იყოს აუდიტორულ დასკვნაში, რომელიც თან ერთვის საწარმოს მიერ წარმოდგენილ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას.**

გარდა ამისა, 2018 წლის მმართველობის ანგარიშგების მიზნებისთვის, თუ კანონით მოთხოვნილი ინდივიდუალური ინფორმაცია ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ სამსახურისთვის წარდგენილ კონსოლირიდებულ მმართველობის ანგარიშგებაშია ასახული, მაშინ შვილობილი საწარმო, რომელსაც კანონით მოეთხოვება ინდივიდუალური ან/და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადება ან ნებაყოფლობით ამზადებს მათ, უფლებამოსილია დუბლირების თავიდან აცილების მიზნით ნათელი და კონკრეტული მითითება გააკეთოს აღნიშნულ ინფორმაციაზე საკუთარი ინდივიდუალური ან/და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შესაბამის ნაწილში. აღნიშნულ დოკუმენტზე აუდიტორმა უნდა გამოთქვას მოსაზრება კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად.

სუბიექტის მიერ 2018 წლის მმართველობის ანგარიშგების ასეთი ფორმით წარდგენა ჩაითვლება კანონის მოთხოვნების შესრულებად.

---

1 იგივე პრინციპი გავრცელდება იმ საწარმოებზეც, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს შესაბამისი საანგარიშგებო თარიღების გათვალისწინებით.

2 არსებითობა განიმარტება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.